საქართველოს მთავრობის განკარგულება

№2010 2015 წლის 17 სექტემბერი ქ. თბილისი

შპს „ჰიდრო დეველოპმენტ კომპანისათვის“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების უსასყიდლო აღნაგობის უფლებით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

1. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მიეცეს თანხმობა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს, შპს „ჰიდრო დეველოპმენტ კომპანის“ (ს/კ: №400023728) შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 49 წლის ვადით, უსასყიდლო აღნაგობის უფლებით გადასცეს ამ განკარგულების დანართით გათვალისწინებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები.

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონების აღნაგობის უფლებით გადაცემის პირობად განისაზღვროს მისი

გამოყენება საქართველოს მთავრობასა და შპს „ჰიდრო დეველოპმენტ კომპანის“ შორის 2012 წლის 23 იანვარს გაფორმებული მემორანდუმის შესაბამისად, „კინტრიში ჰესის“ მშენებლობისა და ექსპლუატაციაში მიღების მიზნით.

3. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ, ამ განკარგულების შესრულების მიზნით, უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიების განხორციელება.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**

№	ქონების ადგილმდებარეობა	საკადასტრო კოდი	ქონების დახასიათება
1	ქობულეთი, სოფელი ჭახათი	20.41.04.037	2437 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი
2	ქობულეთი, სოფელი ჭახათი	20.41.04.038	479 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი